საქმიანობის ბიულეტენი

მაისი

2024



საქმიანობის ბიულეტენი

უმაღლესი საბჭოს საქმიანობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის აქტივობები, გადაწყვეტილებები, მიღებული სამართლებრივი აქტები და სხვა ღონისძიებები აისახება საინფორმაციო ბიულეტენში, რომელიც საშემოდგომო და საგაზაფხულო სესიების პერიოდში ყოველთვიურად გამოქვეყნდება.

შინაარსი:

NO.3

გვერდი 3

პლენარული სხდომები

გვერდი 5

ბიუროს სხდომები

გვერდი 7

კომიტეტის სხდომები

გვერდი 13

სხვა აქტივობები

გვერდი 18

საერთაშორისო ურთიერთობები

პლენარული სხდომა

მაისი,2024

აჭარის სუპრემალური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
Supreme Council of Autonomous Republic of Ajara

„მინისტრის საათის“ ფორმატში განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრს - მაია ხაჯიშვილს მოუსმინეს

16 მაისი, 2024 წელი

უმაღლესი საბჭოს მორიგ პლენარულ სხდომაზე, რომელსაც საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე უძღვებოდა, „მინისტრის საათის“ ფორმატში, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრს მოუსმინეს - მაია ხაჯიშვილის განცხადებით, უწყების ბიუჯეტი ყოველწლიურად იზრდება, რაც სხვადასხვა მიმართულებით მეტი პროგრამისა და პროექტის განხორციელების საშუალებას იძლევა.

სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის, მოსწავლეთა ტრანსპორტირების, წახალისების, შემოქმედებითი, სპორტული, კულტურული და სამეცნიერო უნარების განვითარება-გაძლიერების ხელშემწყობი პროგრამების გარდა, მინისტრმა ყურადღება გაამახვილა სასწავლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზების უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებულ პროექტებზე, სტუდენტ-ახალგაზრდობის, პედაგოგების, უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების მხარდამჭერ პროგრამებზე. მაია ხაჯიშვილმა, თავის გამოსვლაში, ისაუბრა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის, სამუზეუმო სფეროს განვითარების საკითხებსა და იმ აქტივობებზე, რომლებიც კულტურისა და სპორტის მიმართულებით ხორციელდება.

გამოსვლის დასრულების შემდეგ, მინისტრმა უპასუხა კითხვებს. გამოსვლებისა და შეფასებების შემდგომ, წარმოდგენილი ანგარიში 2023 წელს გაწეული საქმიანობისა და მიმდინარე აქტივობების შესახებ, კანონმდებლებმა ცნობად მიიღეს.

სხდომაზე მოისმინეს და ცნობად მიიღეს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის 2023 წლის საქმიანობის ანგარიში, რომელიც ამავე კომიტეტის თავმჯდომარემ - ფრიდონ ფუტკარაძემ წარმოადგინა.

დღევანდელ სხდომას, ბოიკოტის გამო, არ ესწრებოდნენ ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრები და დამოუკიდებელი დეპუტატი - გიორგი კირთაძე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე გაკეთდა განცხადებები.

ბიუროს სხდომა

მაისი,2024

აჭარის სუპერნომიერი რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
Supreme Council of Autonomous Republic of Ajara

ბიუროს სხდომა

16 მაისი, 2024 წელი

16 მაისის მორიგი პლენარული სხდომის დღის წესრიგის პროექტი განსაზღვრეს ბიუროს სხდომაზე, რომელსაც უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე უძღვებოდა. კანონმდებლები, დღეს, „მინისტრის საათის“ ფორმატში, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრს - მაია ხაჯიშვილს მოუსმენენ. სხდომაზე, გაწეული საქმიანობის ანგარიშს წარადგენს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე - ფრიდონ ფუტკარაძე.

ბიუროზე, ასევე იმსჯელეს 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიშის განხილვის პროცედურებზე. საკითხი საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ - მარინე გვიანიძემ წარმოადგინა.

კომიტეტის სხდომა

მაისი, 2024

აჭარის სუპრემული რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
Supreme Council of Autonomous Republic of Ajara

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა და აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტების ერთობლივ სხდომა

15 მაისი, 2024 წელი

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა და აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტების ერთობლივ სხდომაზე, რომელსაც ამავე კომიტეტების თავმჯდომარეები - დავით ბაციკაძე და ფრიდონ ფუტკარაძე უძღვებოდნენ, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრს მოუსმინეს - ჯაბა ფუტკარაძე 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური და 2024 წლის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიშებით წარსდგა.

მომხსენებელის განცხადებით, 2023 წლის შემოსულობების გეგმა განისაზღვრა 541 949,4 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა - 542 562,9 ათასი ლარი, რაც გეგმის 100,1 პროცენტია. 100,8 პროცენტით შესრულდა საანგარიშო პერიოდის შემოსავლების გეგმა, ხოლო საშემოსავლო გადასახადის გეგმის მაჩვენებელმა 100,6 პროცენტი შეადგინა. როგორც ჯაბა ფუტკარაძემ აღნიშნა, გადაჭარბებით შესრულდა სხვა შემოსავლების გეგმაც(104,5 პროცენტი). რაც შეეხება არაფინანსური აქტივების კლების გეგმას, რომელიც 40 415,7 ათასი ლარი იყო, შესრულებულია 92,0 პროცენტით.

რეგიონისა და მისი მუნიციპალიტეტებისთვის მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებისა და მათი მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის წარდგენის შემდეგ, მინისტრმა 2024 წლის პირველი კვარტლის შესრულების შესახებ ისაუბრა, უპასუხა კანონმდებელთა შეკითხვებს.

წარმოდგენილი ანგარიშები ორივე კომიტეტმა ცნობად მიიღო.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტების ერთობლივი სხდომა

15 მაისი, 2024 წელი

2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური და 2024 წლის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიშები განიხილეს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტების ერთობლივ სხდომაზე, რომელსაც ცოტნე ანანიძე უძღვებოდა.

კანონმდებლების წინაშე შესაბამისი მოხსენებები ფინანსთა და ეკონომიკის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრებმა - ჯაბა ფუტკარაძემ და ნინო ნიჟარაძემ წარმოადგინეს.

ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრების გაცნობის შემდეგ, მომხსენებლებმა სხვადასხვა მიმართულებით განხორციელებულ, მიმდინარე პროგრამებზე, პროექტებზე, არსებული გამოწვევების გადაჭრის მიზნით დაგეგმილ ღონისძიებებსა და სიახლეებზე ისაუბრეს, უპასუხეს კანონმდებელთა შეკითხვებს.

კომიტეტებმა მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ საკითხებზე რეგლამენტით გათვალისწინებული შემდგომი პროცედურების გაგრძელებას.

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის სხდომა

15 მაისი, 2024 წელი

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის სხდომაზე, რომელსაც ამავე კომიტეტის თავმჯდომარე - ლადო მგალობლიშვილი უძღვებოდა, დღის წესრიგით გათვალისწინებული ერთი საკითხი განიხილეს - ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი, ჯაბა ფუტკარაძე 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშით წარსდგა.

„რეგიონისთვის მნიშვნელოვანი არცერთი პროექტი და პროგრამა არ შეჩერებულა შარშან და ეს ტენდენცია წელსაც გრძელდება“, - განაცხადა ჯაბა ფუტკარაძემ.

მინისტრის განცხადებით, საანგარიშო პერიოდში, ბიუჯეტი 81 %-ით შეასრულა ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ, 94 %-იანი შესრულება აქვს განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, 99 %-ია ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ანალოგიური მაჩვენებელი, ხოლო 98 %-ით შესრულდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტი.

კომიტეტმა მინისტრის ანგარიში ცნობად მიიღო.

საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის სხდომა

23 მაისი, 2024 წელი

საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე, რომელსაც ამავე კომიტეტის თავმჯდომარე - მარინე გვიანიძე უძღვებოდა, 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მოისმინეს. მოხსენებით, კანონმდებლების წინაშე, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი წარსდგა.

ჯაბა ფუტკარაძის განცხადებით, 2023 წლის შემოსულობების გეგმა - 100,1 %-ით, შემოსავლების გეგმა - 100,8 %-ით შესრულდა, ხოლო საშემოსავლო გადასახადის გეგმის მაჩვენებელმა - 100,6 % შეადგინა. როგორც მინისტრმა აღნიშნა, გადაჭარბებით - 104,5 %-ით შესრულდა სხვა შემოსავლების გეგმა, არაფინანსური აქტივების კლების გეგმის მაჩვენებელმა კი - 92,0 % შეადგინა. კითხვა-პასუხის დასრულების შემდეგ, კომიტეტმა ანგარიში უმაღლესი საბჭოს სხდომისთვის მომზადებულად მიიჩნია.

მინისტრმა, სხდომაზე, 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიშიც წარმოადგინა. კანონმდებლებმა მხარი დაუჭირეს საკითხზე რეგლამენტით გათვალისწინებული შემდგომი პროცედურების გაგრძელებას.

კომიტეტის წევრებმა ცნობად მიიღეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენება - 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებით, რომელიც მარინე გვიანიძემ წარმოადგინა.

დღის წესრიგის ბოლო საკითხი - დადგენილების პროექტი - ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ“, კანონმდებლებს მარინე გვიანიძემ გააცნო. კომიტეტმა მხარი დაუჭირა საკითხზე შემდგომი პროცედურების გაგრძელებას.

სხდომას ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები ესწრებოდნენ.

კომიტეტების სამუშაო შეხვედრა

27 მაისი, 2024 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა და ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტების სამუშაო შეხვედრაზე, ერთობლივი თემატური მოკვლევის - „ადრეული ქორწინება და მისი უკუშედეგები“, საორგანიზაციო და ტექნიკური საკითხები განიხილეს.

ამავე კომიტეტების თავმჯდომარეების - ცოტნე ანანიძისა და ილია ვერძაძის განცხადებით, საკითხზე თემატური მომხსენებელი გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე - ფატი ხალვაში იქნება, რომელიც ყველა პროცედურის დასრულების შემდგომ, შემაჯამებელ მოხსენებას წარადგენს.

როგორც სამუშაო შეხვედრაზე აღინიშნა, მოკვლევა რამდენიმე მიმართულებით წარიმართება და მოიცავს: სტატისტიკურ მონაცემებს, ადრეული ქორწინებისა და მისი უკუშედეგების გამოვლენის გზებს, საინფორმაციო კამპანიასა და პრევენციულ ღონისძიებებს, ასევე დახმარების პროგრამებს. ამასთან, თემატური მოკვლევის კითხვარები გადაიგზავნება ყველა შესაბამის უწყებასა და სტრუქტურაში.

მოკვლევის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილება, კომიტეტებმა, 2024 წლის 19 აპრილის გაერთიანებულ სხდომაზე მიიღეს.

სამუშაო შეხვედრები, სხვა აქტივობები

მაისი, 2024

აჭარის სუპერნომრული რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
Supreme Council of Autonomous Republic of Ajara

''მარეთობა'' - 2024

6 მაისი, 2024 წელი

მაღალმთიანი აჭარისა და ხელვაჩაურის მაჟორიტარი დეპუტატი უმაღლეს საბჭოში - ფრიდონ ფუტკარაძე, აჭარის მთავრობის წევრებთან, ადგილობრივი ხელისუფლებისა და საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად, შუახევის მუნიციპალიტეტში, სახალხო დღესასწაულს - „მარეთობას“ დაესწრო. სახალხო ზეიმი, ტრადიციულად, მრავალფეროვანი ღონისძიებებით აღინიშნა.

ოთხ ადგილობრივს მიენიჭა „საპატიო მარეთელის“ წოდება, დაჯილდოვდნენ სხვადასხვა სფეროში გამორჩეული ადამიანები, ღვაწლმოსილი და წარმატებული პედაგოგები, წარჩინებული ახალგაზრდები. ღონისძიების ფარგლებში, წარმოდგენილი იყო დეკორატიული კუთხეები, ტრადიციული სამზარეულო, სამუზეუმო ექსპონატები, ეთნოგრაფიული ნიმუშები და მარეთის ხეობის ტრადიციების ამსახველი ფოტო-გამოფენა.

დღესვე, ხელისუფლების წარმომადგენლები გამონათლევის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში საზეიმო წირვას დაესწრნენ, მოსახლეობას გიორგობა მიულოცეს, გახსნეს ფრიდონ ქარცივაძის სახელობის სკვერი და საქართველოს ერთიანობისათვის დაღუპულ გმირთა მემორიალი ყვავილებით შეამკეს.

კონფერენცია საზღვაო ეკონომიკის საკითხებზე

16 მაისი, 2024 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე - ტიტე არაშიძე, საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე - მარინე გვიანიძე, პროექტის - „Digital Blue Economy and Innovation Acceleration Network (DBAN)“ ფარგლებში, „Smart specialization და Batumi Blue Expo სტეიქჰოლდერებისთვის“კონფერენციას დაესწრნენ.

„საზღვაო დარგი უმნიშვნელოვანესია ჩვენი რეგიონისა და ქვეყნის ეკონომიკისთვის. ლურჯი ეკონომიკის ინიციატივების განხორციელება და საინვესტიციო შესაძლებლობების გაძლიერება, სასიკეთოდ აისახება საქართველოს მოსახლეობაზე,“- აღნიშნა ტიტე არაშიძემ მისასალმებელ სიტყვაში.

ღონისძიების ფარგლებში, ლურჯი (საზღვაო) ეკონომიკით დაინტერესებულ მხარეები (სტეიქჰოლდერებს) გაეცნენ პროექტის მიზნებს, პარტნიორ ქვეყნებში განხორციელებულ აქტივობებს, შედეგებს, საზღვაო ინდუსტრიაში დიჯიტალიზაციის მიმართულებით არსებულ ვითარებას, გამოწვევებსა და მათი გადაჭრის გზებს. ყურადღება გამახვილდა ციფრული ტექნოლოგიებით სარგებლობის, საზოგადოების ცნობიერების საკითხებსა და რეკომენდაციებზე.

კონფერენცია, რომელიც საერთაშორისო ბიზნესისა და ეკონომიკური განვითარების ცენტრის მხარდაჭერით იმართება ორდღიანია და ხვალ, 17 მაისს, ბათუმის საზღვაო აკადემიაში გადაინაცვლებს.

შეხვედრა აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროში

20 მაისი, 2024 წელი

აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა, საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტების თავმჯდომარეები - ფრიდონ ფუტკარაძე და მარინე გვიანიძე, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროში, ამავე უწყების 2025 - 2028 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტის პროექტის საჯარო განხილვას დაესწრნენ.

შესაბამისი პრეზენტაციით აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი - ზაზა შავაძე წარსდგა.

მომხსენებლის განცხადებით, პრიორიტეტები - სოფლის განვითარების, გარემოს დაცვისა და ტყის რესურსების მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბდა და ორიენტირებულია სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვაზე, ტყის მდგრად მართვაზე. სამინისტრო, დაახლოებით 40 მილიონამდე გაზრდილი ბიუჯეტით, 2025 წელს - 17 პროგრამასა და 13 ქვეპროგრამას გაბახორციელებს.

შეხვედრას მინისტრის, მუნიციპალიტეტების მერების მოადგილეები, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის სამინისტროების დეპარტამენტებისა და საქვეუწყებო დაწესებულებების ხელმძღვანელები ესწრებოდნენ.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე საზეიმოდ აღინიშნა

26 მაისი, 2024 წელი

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე საზეიმოდ აღინიშნა დედაქალაქში. 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიებები გაიმართა რეგიონებშიც.

საერთაშორისო ურთიერთობები

მაისი,2024

აჭარის სუპრემალური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
Supreme Council of Autonomous Republic of Ajara

დავით გაბაიძემ, ტრაპიზონისა და ართვინის გუბერნატორებს - აზიზ ილდირიმს და ჯენგიზ უნსალთანს უმასპინძლა

10 მაისი, 2024 წელი



აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ - დავით გაბაიძემ, ტრაპიზონისა და ართვინის გუბერნატორებს - აზიზ ილდირიმს და ჯენგიზ უნსალთანს, თანხლებ დელეგაციასთან ერთად უმასპინძლა.

შეხვედრაზე საქართველოსა და თურქეთს შორის არსებულ ურთიერთობებზე, რეგიონების დონეზე თანამშრომლობის გაღრმავების მნიშვნელობასა და სამომავლო პერსპექტივებზე ისაუბრეს.

ვიზიტის ფარგლებში, თურქი სტუმრები, ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებსაც შეხვდნენ, ასევე, მონაწილეობა მიიღეს ტურიზმისა და სასტუმრო აღჭურვილობის მე-15 საერთაშორისო გამოფენის გახსნის ცერემონიალში.

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ - დავით გაბაიძემ, საქართველოში ჩეხეთის რესპუბლიკის სრულუფლებიან და საგანგებო ელჩს, პეტრ კუბერნატს უმასპინძლა.

28 მაისი, 2024 წელი

უმაღლეს საბჭოში ბრანდენბურგის დელეგაციას უმასპინძლეს

31 მაისი, 2024 წელი

აჭარის უმაღლეს საბჭოს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბრანდენბურგის მიწის ლანდტაგის დელეგაცია ეწვია, ვიცე-პრეზიდენტ - ბარბარა რიხშტეინის ხელმძღვანელობით.

სამუშაო შეხვედრაზე, ორ წარმომადგენლობით ორგანოს შორის არსებული ორმხრივი და ქვემო სილეზიის სეიმიკთან ერთად, სამმხრივი თანამშრომლობის ასპექტები განიხილეს. ყურადღება გამახვილდა, სამი წარმომადგენლობითი ორგანოს ინიციატივით, რეგიონული პარლამენტების პლატფორმის დაფუძნებასა და მასთან დაკავშირებულ საორგანიზაციო საკითხებზე.

თვის სხვა აქტივობები:

- აღდგომა - 5 მაისი, 2024
- გიორგობა - 6 მაისი, 2024
- საქართველოს დამოუკიდებლობის დღე - 26 მაისი, 2024

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

sca.ge

chaerte.sca.ge